



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 35
06/04/2016

35-06-4-201604061903



განკარგულება N 35 6 აპრილი, 2016 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 58-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ


გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის (ს/კ.26.29.25.001) პირველ სართულზე არსებული ერთი ოთახის უსასყიდლოთ, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაზე (N60/16 და N60/59 დაბა ნასაკირალის საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციონირების მიზნით) გადაცემისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'D. Darchia' in Georgian script.

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო